ლია ქურციკიძე – ფსიქოლოგიის მაგისტრი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი, ტრენერი, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადრეული ინკლუზიური განათლებისა და ადრეული ჩარევის პარტნიორობა

წინამდებარე კვლევა, რომელიც ორიენტირებულია ბავშვთა ადრეული განვითარების სახელმწიფო პროგრამების ეფექტურობისა და ხელმისაწვდომობის ანალიზზე, განხორციელდა ტრიანგულაციური მიდგომის გამოყენებით და გააერთიანა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, გამოყენებულ იქნა დოკუმენტების ანალიზის, ფაქტობრივ მონაცემთა ანალიზის, სიღრმისეული ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფებისა და ანკეტირების ტექნიკები.

კვლევა ასახავს ადრეული ჩარევის მომსახურებაზე არსებულ მაღალ მოთხოვნას, რაც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია მზარდ ცნობიერებასთან, ხოლო, მეორე მხრივ, - ადრეული იდენტიფიცირების მაჩვენებლის ზრდასთან. კვლევა, ასევე ხაზს უსვამს გამოწვევებს, როგორიცაა მომსახურებაში ჩართვის გახანგრძლივებული დრო და სპეციალისტების დეფიციტი. კვლევამ აჩვენა, რომ ადრეული განვითარების სერვისის მიმწოდებლების მზარდი რაოდენობის მიუხედავად, ბევრ ბავშვს, განსაკუთრებით სოფლად, ჯერ კიდევ აკლია საჭირო ინტერვენცია. ეს საკითხი მნიშვნელოვნად აფერხებს მათ განვითარებას. ამ სფეროებში მშობლებს, განსაკუთრებით დედებს, უჭირთ მშობლობისა და ეკონომიკური საქმიანობის დაბალანსება. კვლევა ხაზს უსვამს ადრეული ჩარევის სერვისებზე უფრო სამართლიანი განაწილებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის საჭიროებას. ამავდროულად, კვლევა ავლენს მომსახურების ფუნქციონირების სპეციფიკურ შეზღუდვებს მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში. ხულოში, ლენტეხსა და ყაზბეგში მომსახურების მდგრადი მიწოდების ბარიერებს წარმოადგენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მოსახლეობის დისპერსია, მკაცრი ამინდი, ტრანსპორტის საკითხები და კულტურული ფაქტორები. დედაქალაქში სერვისების ხელმისაწვდომობის ოპტიმიზაცია გულისხმობს არსებული პროვაიდერების გაძლიერებას და არა ახლის დანერგვას. გამოკვეთილი საჭიროების, პროაქტიული ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისა და ხელსაყრელი დემოგრაფიული განაწილების გათვალისწინებით, კვლევა ასახელებს გარდაბანსა და ჭიათურას, როგორც მომსახურების გაფართოების პერსპექტიულ ტერიტორიებს.

კვლევა ასევე ხაზს უსვამს ადრეული გამოვლენის სისტემურად ფუნქციონირების აუცილებლობას. იგი მიუთითებს, რომ პირველადი ჯანდაცვისა და სკოლამდელი განათლების სექტორებს არ გააჩნიათ ბავშვთა შეფასების სისტემატური პრაქტიკა. ჯანდაცვის პირველადი რგოლისა და სკოლამდელი დაწესებულების წარმომადგენლების დიდი ნაწილი არ არის სათანადოდ აღჭურვილი ბავშვის განვითარების შეფასების კომპეტენციებითა და ინსტრუმენტებით, რის გამოც ხშირად ბავშვის განვითარების შეფერხების დაგვიანებული იდენტიფიცირება ხდება.

საკვანძო სიტყვები: ადრეული განათლება, ადრეული ინტერვენცია, თანამშრომლობა, ადრეული ინკლუზიური განათლება

Lia Kurtsikidze - Master of Psychology, PhD candidate of Educational Sciences, Invited lecturer, trainer, Faculty of Business, Technology and Education, Ilia State University

Collaboration between Early Inclusive Education System and Early Intervention Services

This study analyzes the effectiveness and availability of state programs for early childhood development across nine municipalities in Georgia. The study employed a mixed-methods approach, combining quantitative and qualitative data collection. Surveys and structured interviews were conducted with early childhood development service providers, parents, and local stakeholders across the nine municipalities. Additionally, secondary data from government reports and relevant literature were analyzed to contextualize findings.

This comprehensive approach ensured a robust understanding of the accessibility and effectiveness of early childhood development programs in the region. It emphasizes the importance of early interventions in positively influencing children's development. The research identifies a high demand for early intervention services, reflecting growing awareness and improved early detection, yet also highlights challenges like long waiting lists and a shortage of qualified specialists. The study finds that, despite the increasing number of early development service providers, many children, especially in rural areas, still lack necessary interventions. This issue significantly hinders their developmental potential. In these areas, parents, particularly mothers, face difficulties balancing caregiving and economic activities. The research underscores the need for more equitable distribution and increased access to early intervention services. It identifies six municipalities—Tbilisi, Gardabani, Kazbegi, Chiatura, Lentekhi, and Khulo—as requiring expanded access to these services. However, it notes specific limitations in highland municipalities like Khulo, Lentekhi, and Kazbegi, such as population dispersion, harsh weather, transportation issues, and cultural factors, which create barriers to sustainable service delivery. To address these challenges, the study suggests modeling telepractice and alternative services. In the capital optimizing service availability involves strengthening existing providers rather than introducing new ones. The study identifies Gardabani and Chiatura as promising areas for service expansion, given the expressed need, proactive local stakeholders, and favorable demographic distribution.

The research also highlights the need for significant efforts in early detection. It points out that primary healthcare and preschool education sectors lack systematic practices for child assessment and appropriate referrals. Many healthcare representatives and preschool teachers are not adequately trained or permitted to communicate developmental concerns to parents. Consequently, many children's developmental delays remain unaddressed.

Keywords: early education, early intervention, cooperation, early inclusive education.